F 788 ლ 7194

წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | პარასკევი ოქტომბრის 6—(19) 19[illegible]

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . [illegible]
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე [illegible]
ქალაქ გარედან [illegible]
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 142 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 142

## საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციასთან.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, გორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

## ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

### დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დროებითი მთავრობის მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნულია 12 ნოემბერს 1917 წ. საარჩევნო სიების გამოქვეყნების დროთ დანიშნულია 8 ოკტომბერი ამა წლისა. ქალ. ქუთაისის მცხოვრებთა სიები უკვე შედგენილია. ამ სიებში, როგორც ქალაქის არჩევნებზე გამოირკვა, ბევრი ამრჩეველი გამოტოვებულია. არაა მათში შეტანილი აგრეთვე ის პირნი, რომელთაც 18 ივლისიდან ვიდრე ამა წლის 12 ნოემბრამდე შეუსრულდათ ან უსრულდებათ 20 წელი, და ის პირნი, რომლებიც ჩამოვიდენ ქუთაისში ამ სიების შედგენის შემდეგ. ე. ი. ამა წლის 18 ივლისის შემდეგ. ეხლა იმ პირებმა, რომელნიც შეცდომით გამოტოვებული არიან საარჩევნო სიებში ან და არ არიან შეტანილნი სიების შედგენის დროს, უნდა განაცხადონ ქალაქის გამგეობაში თავიანთ უფლებაზე, რათა შეტანილ იქნენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიაში, თან უნდა წარმოადგინონ მოწმობები თავიანთ წლოვანებაზე და რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ვინც არ განაცხადებს თავიანთ უფლებაზე დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ რვა ოკტომბრამდე ამა წლისა და არ იქნება შეტანილი საარჩევნო სიაში, ის კარგავს უფლებას არჩევნებში მონაწილეობისას.

მოქალაქეთათვის საქმის გასაადვილებლად, სიების შესაკრებათ და შესასწორებლათ ქალაქის ქვემორე ჩამოთვლილ 3 ადგილას ქალაქის გამგეობა გზავნის სპეციალურ პირთ, რომლებიც იქნებიან იქ ნაშუადღევის ორი საათიდან საღამოს 9 საათამდი (ძველი დროით).

ეს ადგილები შემდეგია:

1) ცენტრალურ საარჩევნო ნაწილში—ქალაქის გამგეობის სადგომი,
2) სამთო საარჩევნო ნაწილში—რეალური სასწავლებლის სადგომი,
3) წყალგაღმა საარჩევნო ნაწილში—ქართული გიმნაზიის სადგომი.

## ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

ექიმი

ვ. ი. გოქიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## ქუთაისი, 6 ოკტომბერი.

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მოხდა ის, რაც დიდათ საზარალოა და თანაც სამარცხვინო. ქუთაისი მოწინავე ქალაქათ მიგვაჩნდა, ჩვენი საზოგადოება ერთიან რევოლუციონერათ გვყავდა დასახული. ჩვენში ყველა დემოკრატი გვეგონა და ყველა თავისუფლების დარაჯათ მიგვაჩნდა. თურმე ასე არ ყოფილა. რამდენიმე თავზე ხელ-აღებულმა კაცმა სხვისი ქონების განადგურება დაიწყო და მათ ხელი შეუწყვეს მილიციონერებმაც და მოქალაქეებმაც!!! ნაქურდალი და წანაგლეჯი ნივთები სიამოვნებით შეიძინეს განახლებულ სახელმწიფოს მოქალაქეებმა. ერთი ჯგუფი ამხედრებული მხედრებისა ჩვენს მოძმე მეზობელთა ოჯახს არბევდა, სამარცხვინო საქმეს ჩადიოდა, საზოგადოების ერთი ნაწილი კი ასეთ მოქმედებას იწონებდა და სიამოვნებით ხელს უცლიდა მძარცველთა და გამანადგურებელთ. ეს მეტათ საკვირველია. რამ შეაცდინა საზოგადოება, რამ დაუკარგა მას სხვისი შებრალება და პატივისცემა? გვეტყვიან სიძვირემ ყველა გააჯავრა, ვაჭრებს ბევრი ემდუროდა, სურსათის სიმცირემ ყველა შეაწუხაო. მერე რა? იმით, რაც მოხდა, საქმე გაკეთდება? დამწვარზე მდუღარე რომ დაასხა, ამით ტკივილი მორჩება? იმასაც გვეტყვიან ბურჟუას მოსპობა საპროგრამო საქმე არისო. ვაი იმ პროგრამას, რომელიც ასეთი სახით განხორციელდება, ვაი იმ მოძღვრებას, რომლის განხორციელებას მთვრალი და გამცარცველი იკისრებს;

განა არ გვესმის, რომ ყველა დიდ გაჭირვებას განვიცდით? განა ვერ ვხედავთ, რომ მდგომარეობა დღითიდღე რთულდება და უარესდება? განა ცხადი არ არის, რომ რევოლუცია და ნანატრი თავისუფლება დიდს განსაცდელშია? მაგრამ ასეთი გარემოება იმით გაუმჯობესდება, მაღაზიები რომ მივლეწ-მოვლეწოთ და ისიც წყალში გადავყაროთ, რაც ქალაქს მოეპოვება? ამისთანა გამწვავებულ დროს გონიერი მოქალაქე წესიერებისა და მოთმინებისკენ უნდა იწვევდეს სულ მოკლე მხედარს, თუ უნდა აქეზებდეს, ნაჯახებს აწვდიდეს და სხვის წანაგლეჯს თავის ოჯახში მალავდეს? საუბედუროთ ეს კითხვა ბევრისთვის გამოურკვეველი ყოფილა და კიდეც მიტომ მოხდა ის, რაც თვალწინ გვიდევს. საუბედუროთ ჯარშიდაც, მილიციონერთა შორისაც და საზოგადოების შემადგენლობაშიც ბევრი ყოფილა შეუგნებელი, სხვისი დაღუპვის მსურველი და საერთო უბედურების ხელის შემწყობი.

ჯარის ერთი ნაწილი გვარბევს, მეორე ნაწილი უმოქმედოთ არის, საზოგადოებაშიც თანამგრძნობი ელემენტი ყოფილა. აი დღევანდელი სურათი და უარესი კიდევ მოსალოდნელია.

ვინ არის დღეს წესიერების დამცველი, ვინ უპატრონებს საზოგადოებას და ვინ დაიცავს რევოლუციას ს. ვნახოთ, რას იზამენ ის ორგანოები, რომელთა ხელშიც არის მართვა-გამგეობის საჭე; ჩვენ კი ვურჩევთ საზოგადოებას, საჩქაროთ მიიფიქროს და იზრუნოს თავის თავზე,

## ფიქრები... მწარე ფიქრები.

II.

ახლა, როცა ამ წერილს ვიწყებ, საღამოს შვიდი საათია, 4 ოქტომბერი.

მთელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ საღამოს 5 საათზე ხმა გავარდა:—კიდევ აპირებენ ქალაქის დარბევასო. ასტყდა საშინელი ჩოჩქოლი, შეკითხვა—შემოკითხვა, მეზობლებთან მისვლა-მოსვლა. ქალი და ბავშვი ქუჩებში გამოეფინა, შუა ქალაქიდან მომავლებს უხვდებიან, ამბავს ჰკითხავენ...

— საცაა დაიწყება.—უკმეხად ამბობს ერთი...

—თოფები გამოუტანიათ... შეიარაღებულან... დაგვერევიან წყეულები! მილაპარაკობს მეორე...

ხალხი თრთის, კანკალებს, გმინავს...

— ნუ გეშინიათ! იუნკრები*) უკვე მოემზადენ დასახვედრად... სუ! ნუ სტირი, ქაჯან! ამშვიდებს ერთი მგზავრი პატარა გოგონას, რომელიც გაფითრებულ დედას კალთაზე მოჰკიდებია და ცრემლებად იღვრება...

მე აივნიდან გადავყურებ ამ სურათს და გული მიკვდება. ფიქრები... მწარე ფიქრები კვლავ მოსვენებას არ მაძლევენ და მეათასედ ვიმეორებ ჩემს საკითხებს:

— როგორ უნდა გამოვაბრუნოთ ჩვენი ყოფნა და მდგომარეობა, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ შემდეგში აღარ გამეორდეს საშინელი ამბები-მეთქი?

პასუხი ჩემი შემდეგია:

1) ქუთაისი (და სხვა დაბა-ქალაქებიც) აოხრება-დარბევას რომ გადარჩენ, პირველ ყოვლისა, საჭირო, და აუცილებელი საჭიროც, არის საქართველოს დაბა-ქალაქებში ჩადგენ **ქართველი** ჯარის-კაცების პარტია, რომელსაც დღეს ხელში უჭირავს საქართველოს გამგებლობა და რომლის წევრების დიდი უმრავლესობაც შეადგენს ახალ მთავრობას, ზნეობრივად მოვალეა ყოველი ზომა მიიღოს და ყველა ფრონტებიდან გამოითხოვოს ქართველი ჯარის-კაცები თავის სამშობლოს დასაცავად მით უმეტეს, რომ ამისნება რისვაივაგლახისა და წვალების შემდეგ თითქოს მოგვცა რუსეთის დროებითმა მთავრობამ.

მაგრამ ვიდრე ეს ჯარი შეიკრიბებოდეს, ქალაქის მმართველობანი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეადგინონ **„ხალხის დამცველი რაზმები"**, შეაიარაღონ იგინი სათანადოდ და დააყენონ სადარაჯოდ.

2) დრო არის ქართულმა ინტერპარტიულმა საბჭომ, იმ საბჭომ, რომელიც ამ ორი, თუ სამი თვის წინად შესდგა თფილისში, გამოსცეს თავისი დეკლარაცია—განცხადება, რომ ჩვენში მომქმედ პარტიათა მთავარი კომიტეტები უკვე შეთანხმდენ საერთო ნიადაგზე სამუშაოდ და მაშასადამე, სხვა სოფელ-ქალაქის პარტიული კომიტეტებიც მოვალენი არიან იმოქმედონ შეთანხმებით, არ ავრცელებდენ ერთმანეთის შესახებ დედაბრულ ჭორებს და თავის ქიშპობას არა სწირავდენ საერთო, საქვეყნო საქმეს. ჩვენი ინტერპარტიული, ანუ **ეროვნული საბჭოს** სიტყვა და ბრძანება კანონი უნდა იყოს ყველასათვის.

უნდა დაიბეჭდოს ცალკე პროკლამაციებათ და ათასობით გავრცელდეს ქართველ ხალხში—მუშებსა და გლეხებში—სიტყვა თქმული აკაკი ჩხენკელისაგან პეტრეს ქალაქში მომხდარ დემოკრატიულ თათბირზე საქართველოსათვის **ტერიტორიალურ თვითმართველობის** მოთხოვნის შესახებ. ეს მოთხოვნა, ეს სიტყვა ჩვენებურ სოციალ-დემოკრატების მეთაურისა დაარწმუნებს ყველა იმათ, ვინც არ იჯერებს სხვა პარტიების თქმასა და სიტყვას, რომ საქართველოს **ტერიტორიალურ თვითმართველობის** ანუ იმავე **ავტონომიის** მოთხოვნა არ არის არც „კონტრ-რევოლუციონერობა", არც „რუსეთისგან გამოთიშვა", არც საზარალო რევოლუციისა, ვინაიდან ვინც სხვისი მონაა და მეორეს კი თავისუფლებას ჰპირდება ის მარტოოდენ ნაცარქექიაობს!.. სხვისი თავისუფლების დაფასება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც თითონ არის **თავისუფალი.**

საქართველოს თავისუფლება პირველყოვლისა საჭიროა საქართველოს მშრომელი მასისთვის და, ვისაც ეს დღევანდლამდე არ ესმოდა, ბ-ნ ჩხენკელის სიტყვა შეაგნებინებს და შეასმენს. ამგვარად ბოლო მოეღება იმ დავასა და ქიშპს ამ საკითხის შესახებ, რომელიც არსებობს ს.-დემოკრატ და არა სოციალ-დემოკრატ ქართველებს შორის და გლეჯობას გულს უტეხს, უნდობლადა ხდის.

4) თავისუფლების მოპოვებამდე საჭიროა მივაწოდოთ ქართველ ხალხს საზრდო, როგორც სულიერი, ისე ხორციელი. ამიტომ უნდა გავაცნოთ ჩვენს ხალხს ჩვენი ისტორია და მწერლობა, უნდა ვუშოვოთ მას პურიც...

უვიცობამ და სიმშილმა დაამხო რუსეთი, ესევე უვიცობა და სიმშილი დაამხობს ჩვენს დიდ იმედებსაც, თუ ამ მამასისხლობის დროს არ ვუშოვნეთ ხალხს საკვები საზრდო. ამიტომ უნდა დაუყოვნებლივ შეიკრიბოს საქართველოს ყველა პარტიებისა, ჯგუფებისა, წრეებისა და კუთხეების წარმომადგენელნი: გლეხი, მუშა, მასწავლებელი, ექიმი, ვექილი, მოხელე, ვაჭარი, თავადი, აზნაური, მღვდელი, დიაკვანი და სხვა და სხვა. საერთო ძალით გამონახონ საერთო გზა ხალხის დაპურებისა და მთელის თავის არსებით მოეხმარონ ამ საქმეს: ზოგი ფულით, ზოგი სანოვაგე-ხორბლით, ზოგი გამოცდილებით, ზოგი ჭკუით, ზოგი მოხერხებით, ზოგი შრომით, ზოგი თავდადებით, გადააკეთონ დღევანდელი ეგრედ-წოდებული სასურსათო კომიტეტები, თუ კომისიები, ჩააყენონ შიგ მარტო პარტიული კაცები კი არა, არამედ მცოდნენი ვაჭრობისაც, ტრანსპორტისაც, ტარიფებისაც, სოფლისაც, ხალხისაც და მისი გულისთქმისაც. ჩამოიარონ სოფელ-სოფელი, დააარსონ თავისი განყოფილებანი, შეაგნებინონ და დაანახვონ სოფელს მნიშვნელობა **ერთობისა, ძმობისა,** მოყვასისთვის თავდადებისა, თავისის **მოქმედებითა და საქმით** და არა მარტო სიტყვით,—როგორც აქამდე... ვისაც ესმის ხალხის სამსახურის მნიშვნელობა, იმან, მოიკლოს, ვისაც არ ესმის—შეაგნებინონ, ვინც მხდალია გაამხნევონ, ვინც უვიცი და ბრიყვია, დაუყვაონ, ვინც მძარცველი და მტაცებელია დატუქსონ და ალაგმონ, ვინც ხელ-მრუდეა გათიშონ, ვინც სულსწრაფია დაამშვიდონ, ვინც უზრდელია გაწვრთნან, ვინც მუქთა ხორაა დაარცხვინონ—ერთის სიტყვით იმუშაონ ხალხისთვის, ხალხთან და ხალხის მიერ და სულ მოკლე დროში ბოლოც მოეღება ყოველგვარ მხეცურს უწესოებას...

მე ვგრძნობ, რომ ის, ვინც გაზრდილია, „კლასთა ბრძოლაზე" და თავი გაბრუებული აქვს სხვა და სხვა სოციალური თეორიებით, დაცინვით ჩაიცინებს ამ ჩემს ყოვლად შესასრულებელ წინადადებაზე, მაგრამ მე მინდა ახლავე ვკითხო ამ ჩემს ულმობელსა და ხალხის კეთილ-

*) იუნკრები თფილისიდან ჩამოვიდენ ქ. ქუთაისის დასაცავად. ავტ.

დღეობაზე მყვირალა კრიტიკოსს (მერე რამდენი შემხვედრია ასეთი!), ნუ თუ არ უნახავს, როგორ ათამაშებენ ხოლმე ერთად კატებსა და ძაღლებსაც კი? და თუ კი პირუტყვების გაწრთვნა შეუძლია შრომასა და გარჯას, რა ღმერთი გაუწყრებათ მეტყველებს, ადამიანებს, ერთმანეთს ხელი არ გაუწოდონ, როცა ხედავენ, რომ ურთიერთმანეთით ორივენი დაიღუპებიან?!...

მაგრამ ჩვენი დანაშაული სწორედ იმაშია,—მე ამას თამამად ვამბობ,—რომ ჩვენ ჩვენის ქადაგებით კაცი კაცის მგლად გადავაქციეთ, ჩვენის უცნაურის თეორიებით ერთი მეორეს გადავკიდეთ, ერთს მოთხოვნილება გავუდიდეთ, მეორეს მოვალეობა დავავიწყებინეთ, ღირსეული ცხენიდან ჩამოვაგდეთ, უღირსი რაშზე შევსვით, ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ხსნა განვიზრახეთ, შინაურები კი დავივიწყეთ, ცას ვეპოტინებით, დედამიწისა კი არა გვესმის-რა, შინ ქოხი ვერ შეგვიკეთებია, გარეთ კი სასახლეებს ვპირდებით—რუსეთს წინ მივუძღვით და ჩვენ უბედურ დაბა სოფლებს კი ნაძირალების სათარეშოთ ვხდით. არა, ბატონებო, თითონ ჩვენ მეტი დაკვირვება, მეტი გამოფხიზლება გვჭირია...

ხალხის სამსახური ის კი არ არის, რომ ჩვენ მაღლა თაროზე შევსხდეთ და იქიდან ვაუწყებდეთ ხალხს ლამაზ-ლამაზ სიტყვებს ძმობა ერთობასა და მომავალ სასუფეველზე, ხალხის სამსახური ის არის, რომ დღესვე დაიხსნა იგი განსაცდელისგან და დაიფარო სასო წარკვეთილებისაგან.

უამისოდ კი სწორედ ისევ სიმშილი და ჩვენდამი უნდობლობა, გახდება სამარედ ჩვენის ქვეყნის მომავალისა...

აქედან ჩემი დასკვნა ასეთია: ვუსურვებ რა რუსეთის დიდ რევოლუციას გამარჯვებას, ჩვენი ქვეყნის პატარა საქართველოის და მის ტანჯულ ხალხის—სრულიად ქართველების—დასახსნელად აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია:

1) საკუთარი ქართველი ჯარი.

2) ყველა პარტიების შეერთება საქართველოს გასათავისუფლებლად.

3) ხალხის თვალში **საქმით** ნდობის დამსახურება.

4) თვით ქართველი ხალხის გამხნევება და დამტკიცება ამისი, რომ იგი უპატრონო არ არის...

ამის იქით მე ჯერ-ჯერობით ხსნას ვერა ვხედავ. რაც შეეხება სოციალურ საკითხების გადაწყვეტას ჩვენში, ან ჩვენებურ „კლასთა“ დღევანდელ ურთიერთობას, ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ ჩემს აზრს.

ია ეკალაძე.

## როგორ უშველით დარბეულთ?

(ვაჭართა საყურადღებოთ).

დიდი უბედურება დატრიალდა. წლობით ნაამაგევი გაცამტვერდა. მრავალი ულუკმა პუროთ დარჩა, ზოგი დაღარიბდა, რამდენიმე ჩამოქვეითდა...

მაგრამ „ჭირსა შიგა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა“.

ეხლავე თუ თავს მოუვლით, სამ-ოთხ წელიწადში შეიძლება ყველამ აღადგინოს ყოფილი ნივთიერი მდგომარეობა...

ასეთს დიდ ზარალს შეუძლებელია ძველ მოქმედებით დავდოთ მალამო.

აქ საჭიროა მხოლოდ ფართო თვითმოქმედება, ფართო შეერთება ვაჭარ-მრეწველთა.

და აი როგორ.

უპირველესად არჩეულ უნდა იქმნეს კომიტეტი, რომელიც დაწვრილებით გამოარკვევს ზარალს, და იმ ჯამს, რომელიც ყოველი დაზარალებულისთვის საჭირო იქნება, რათა წაქცეული საქმე ფეხზე წამოყენებულ იქმნეს.

შემდეგ ეს კომიტეტი იზრუნებს, სხვადასხვა დაწესებულებაში ნდობა (კრედიტი) მოუპოვოს აღნიშნულ პირთ, ვაჭართა მთელი შემადგენლობის თავდებობით.

რადგან ეხლა ყოველივე საქონლის გამოწერა ძლიერ ძნელია, როგორც გზის მხრივ ისე ფაბრიკების მიერ საქონლის მოუცემლობის გამო, კომიტეტმა სათანადო დაწესებულებებში უნდა აღძრას შუამდგომლობა, რომ ამ განსაკუთრებულ მდგომარეობისათვის, განსაკუთრებული ზომები მიიღოს,

ქალაქის გამგეობა, სასურსათო კომიტეტი ვალდებულია ასეთს ზომებს მხარი დაუჭირონ...

დარბეულთ თუ ასეთი დახმარება გაუწიეს ამხანაგებმა, მათი მდგომარეობა ოთხ-ხუთ წელში სრულიად აღდგება.

ასეთი ნაბიჯი ზნეობრივობა შეაკავშირებს ვაჭართა კლასს, რაც მათი შემდეგი ცხოვრებისათვის საუკეთესო დახმარება იქნება.

კომიტეტის ასარჩევად არ იქნებოდა ურიგო ვაჭარ-მრეწველებს მცოდნე პირები, ბანკირები, სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი და თანამგრძნობელი მიეწვია...

Ar.

## რუსეთის ანარქია.

„ილუზიები ჰქრებიან ფაქტები რჩებიან“ პეტრეს ქალაქში მარტის დღეებში მრავალ რიცხოვან მიტინგზე ჩერნოვმა ასე დაასრულა თავის სიტყვა. „მონობის უღელი მოიშორა მშრომელმა ხალხმა, დემოკრატია თვით დაეუფლება ქვეყნის მართვა გამგეობას“ მიწა და თავისუფლება, რომელიც ოცნებათ გადაქცეოდა რუსეთის გლეხს, დღეს მას ოცნება სინამდვილეთ ექცა. აილაგმება პარაზიტი, მდიდარი კლასები, ბურჟუაზია კონტროლს ქვეშ იქნება და შეიქმნება ადამიანური ცხოვრება (გაუთავებელი ტაში).

ეს მარტში იყო, მაშინ უხვათ განიბნევოდა ათასფეროვანი სანეტარო დაპირებანი.

ჯარისკაცთა და მუშათა საბჭომ ლაშქარს აუწყა, რომ თავის უფროსებს აღარ დაქვემდებარებოდა, და ჯარისკაცი როგორც სრულ უფლებიანი მოქალაქე ემორჩილებოდა მხოლოთ თავის ნაწილის კომიტეტებს. გავიდა ხანა ექვსი თვის განმავლობაში რევოლუციამ სიმწარის ფიალა ბევრი შესვა. ბრძოლის ველზე „თავისუფლება მოძებული“ ჯარი აირია, ყოველგვარი წესრიგი უარყო, უფროსთა განკარგულებას აღარ დაემორჩილა. ბრძოლის ველი მიატოვა და საკუთარ სამშობლოს დაუწყო აწიოკება აკლება. შედეგი ამისა ტარნოპოლის კატასტროფა, რიგის დაკარგვა. სოფლის თავისუფალი მშრომელი ხალხიც აღსდგა თვითმოქმედებისთვის. მაისში დაიწყეს რუსეთის ზოგიერთ ადგილებში აგრარული უწესოება. ეს უწესოება ისეთი სახით მიმდინარეობდა, რომ ძნელი იყო ამის თქმა, თუ რა მიზნით სჩადიოდენ მას. გლეხთა ბრბო სწვავს საუკუნოებით ნაშენ მამულს. სპობს სასოფლო სამეურნეო მანქანებს. ადამიანი იმ დასკვნამდის მიდიოდა, რომ ყველგან მხეცური შური მძინვარებდა. მაისში შეაჩერეს მოძრაობა, ჩერნოვმა თავის პროექტის ცხოვრებაში გამოტანა გადასდვა. ამ ხანათ ისევ აღმოცენდა „სოფლის ანარქია“. მაგრამ ახლა საშინელ სახით. გასაკვირი არ იქნებოდა გლეხებს მარტო მებატონეთა მამულები რომ დაეტაცნათ. გლეხები მამულებს ართმევენ აგრეთვე ერთმანეთს, ამ ნიადაგზე სისხლის ღვრა იმართება. რუსეთის რამდენიმე გუბერნიის სასოფლო მეურნეობა ცეცხლ მოდებულია. იწვის შენობები, იწვის ტყეები. დრ. მმართველობა გლეხებთან ვერას აწყობს. გაგზავნილი ჯარი გლეხების ბრბოს უერთდება. სამიწადმოქმედო რუსეთის მეურნეობა კატასტროფის წინაშე სდგას. „სოფლის ანარქია სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენსო“. ამბობს პეტრე სტრუვე.

უარესი ამბავია ქალაქში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თუ სიტყვა ბურჟუას მარტო მუქარით იხსენიებდენ დღეს საქმით უსწორდებიან მას. ქალაქის ბრბოები არბევენ მაღაზიებს ამ საშინელ კრიზისში აფუჭებენ და იტაცებენ სხვადასხვა სურსათს სწვავენ შენობებს.

თვალი გადაავლეთ რუსეთის დეპეშებს გაიგეთ რა მდგომარეობაშია ქ. ხარკოვი, ასტრახანი, სარატოვი და სხვა მაზრები. სად არის რევოლუციური დემოკრატია რუსეთის რევოლუცია რომ უნდა გაეღრმავებია და სასურველათ რომ უნდა დაეგვირგვინებია.?

სამწუხაროთ დემოკრატია ინდივიდუალისტის და ანარქისტის როლში გამოდის. ანარქისტულმა ინსტინქტმა შეიპყრო ყველა. მიგნიდან შლიან და აქუცმაცებენ სახელმწიფოს.

იოტის ოდენი მამულიშვილური შეგნება რუსეთის ჯარისკაცში და გლეხში არ აღმოჩნდა. იმ დროს როდესაც მემამულეს სწვავს, არ ინდობს აგრეთვე თავის სისხლ ხორც გლეხს და მის სახლ კარსაც ცეცხლს აძლევს: ასეთ დროს ქვეყანას ერთი კითხვა ყოფნა არ ყოფნისა უდგება წინ. რუსეთის ხალხმა, თუ კი მასში ეროვნულ თვითარსებულ მყოფელობის შეგნება სუფევს მას უნდა გასცეს ღირსეული პასუხი.

რუსეთის სენი საქართველოშიც „გადმოვარდა. ჯერ ცოცხალ სურათად თვალ წინ გვიდგას ის სისაზარლე და სისაზიზღრე, რომელიც ქუთაისში მოხდა. მიზეზის განმარტებას არშეუდგებით ეს უკვე დაასახელეს ქართულმა გაზეთებმა. ახლა საჭიროა საქართველო თავის თავის პატრონობას შეუდგეს, და მაგვარი უბედურება მომავალში თავიდან აიშოროს. უპირველეს ყოვლისა ჩვენ მოუწოდებთ ადგილობრივ მკვიდრთ. მკვიდრ ქართველობას, რომ იგი არ ჩაერიოს სამარცხვინო საქმეში და სამშობლოს მოღალატე არ შეიქმნეს. ზომები მრავალ გვარია გვჭირია თავდაცვის საქმე ჩვენვე უნდა მოვაწყოთ

ამისთვის ქართველი ჯარი უნდა ჩადგეს მშობლიურ ქალაქებში და მისი დაცვა თავს იდოს. ქართულ ჯარს შორის საჭიროა ფართე პროპაგანდა, დარიგება, რომ ანარქიულათ განწყობილ რუსის ჯარის სენი მას არ გადაედოს.

რუსეთს ღუპავენ თავისივე შვილები, იგინი მას არ ინდობენ ამ დროს ჩვენი ვალია საკუთარი სამშობლო დავიფაროთ და ისედაც ბევრ ტანჯვა ვაებას გამოვლილს, დღესაც ნუღარ ვაწამებთ. საქართველოს მშრომელ ხალხს უნდა ესმოდეს, თუ რა ცუდი შედეგი მოყვება სოფლის, თუ ქალაქის უწესოებას. ჩვენ მოუწოდებთ მას ერთსულოვანობისკენ და სიწყნარე-წესრიგისაკენ. ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგენ საქართველოს თავდაცვის საქმეს. ეროვნულმა საბჭომ შემდეგისთვის სამოქმედო დირექტივები უნდა, მოგვცეს.

**დის.**

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**დეპუტატთა საბჭოს ყრილობა**

**პეტროგრადი**. ღვინობ. 2. დეპუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ ცენტრალ. საბჭოს აღმ. კომიტეტის ჯარის-კაცთა სექციამ დაადგინა: რადგანაც დამფუძნებელ კრების მოახლოვების გამო სასურველი არ არის დემოკრატიის წარმომადგენლების მოშორება ადგილებიდან, საფრონტო, საარმიო და საკორპუსო კომიტეტებს შეეკითხნენ ხსენებულ ყრილობის შესახებ, რომელიც ღვინობისთვის 20 თვისაა განზრახული.

**შრომის ინსპექციები**

**პეტროგრადი**. ღვინობ. 2. შრომის მინისტრმა დაადგინა მოიწვიოს თავის კომისართა ყრილობა, რომელმაც უნდა განიხილოს შრომის ინსპექციების და პალატების დაარსების პროექტი. ყრილობა ღვინობისთვის 18 თვისაა დანიშნული.

**დამფუძნებელი კრება**

**პეტროგრადი**. ღვინობ. 2. დროებით მთავრობამ დაადგინა საარჩევნო სიების დასამზადებლად ვადა ღვინობისთვის 2-დე გაგრძელდეს.

**გაფიცვები კიევში**

**პეტროგრადი**. ღვინობ. 2. კიევიდან დაბრუნებულმა მაისკიმ, რომელსაც შრომის სამინისტროს მიერ დავალებული ჰქონდა კიევის მექარხნეთა და მუშების შორის უთანხმოების მოსპობა, შრომის მინისტრს მოახსენა, რომ კიევში გაფიცული ყოფილა 18 ქარხნის მუშები. უთანხმოება გამოეწვივნა ხელფასის მომატებისა და მუშების დათხოვნა მიღების საკითხებს. მაისკის წინადადებით უთანხმოება შემარიგებელმა კომისიამ განიხილა. 4 დღის თათბირისა და მოლაპარაკების შემდეგ მექარხნეებმა და მუშებმა ხელშეკრულება დასდვეს, რომელიც საფუძვლად დაედება მათს ურთიერთობას მომავაში.

## ეროვნული კითხვა

**ახალი სეიმის მოწვევა.**

**პეტროგრადი**. ენკ. 30. დროებითი მთავრობის სიგელი. ქალაქ ჰელსინგფორსში სეიმის მოწვევის შესახებ გამოიცა პეტროგრადს 1917 წელს ენკენისთვის 30-ს (ღვინობისთვის 13). დროებითი მთავრობა უცხადებს ფინლიანდიის ყველა მოქალაქეთ, რომ, 1916 წ. მკათათვის 7-ს (მკათათვის 30-ს) შედგენილ სასეიმო წესდების თანახმად, დროებითმა მთავრობამ უბრძანა სეიმს ქალაქ ჰელსინგფორსში შეკრება 1917 წ. ღვინობისთვის პირველიდან გიორგობისთვის 19 ს. ამისთვის ყველა სეიმის დეპუტატს მართებს დანიშნულ დროზე ჰელსინგფორსში ჩამოსვლა.

სიგელს ხელს აწერენ: მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ა. კონოვალოვი. დროებით მთავრობის ყველა მინისტრები და ფინლიანდიის საქმეთა მდივანი—ენკელი.

**პოლონელთა შეერთებულ ორგანიზაციების ყრილობა.**

**პეტროგრადი**. ღვინობ. 1. პეტროგრადში ღვინობისთვის 6-სათვის პოლონელთა შეერთებულ დემოკრატიულ ორგანიზაციების ყრილობას იწვევენ.

**პოლონელთა სამხედრო ორგანიზაციები**

**პეტროგრადი**. ენკენ. 29. ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა დებულება პოლონელთა სამხედრო ორგანიზაციების შესახებ. პოლონური სამხედრო ნაწილები რუსეთის ჯარში შევლენ, მაგრამ ეროვნულ სახეს შეინარჩუნებენ.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**რუსეთის ბანაკის ცნობა**

**პეტროგრადი** ღვინობ. 3. ჩრდილოეთის, დასავლეთის და რუმინეთის ფრონტები. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი**. არსებითი არა არის რა.

**მფრინავთა მოქმედება**. ღვინობისთვის 1-ს სამხრეთ დასავლეთ ფრონტზე შტაბს როტმისტრმა გოროდოვსკიმ, პროპორშჩიკ იანჩენკომ და პავლოვმა გუსიატინის მიმართულებით, გოროდკოსთან იერიშები მიიტანეს მტრის 4 ჰაეროპლანზე. ამავე დღეს რუმინეთის ფრონტზე პროპორშჩიკმა სუკმა მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

**ბრძოლა ბალტიის ზღვაში.**

**პეტროგრადი**. ღვინობისთვის 2. მთავარ საზღვაო შტაბისაგან. გუშინ შუა დღის 4 საათზე. სოელუზუნდთან 4 ნაღმოსანისა და 2 საკანონერო ნავისაგან შემდგარ ჩვენს მოდარაჯე რაზმს სრუტის დასავლეთით მყოფ გერმანელთა დრედნოტმა ზარბაზნები დაუშინა და ნაღმოსანი „გრომი“ მძიმედ დააზიანა. ამ დრედნოუტის სროლით ისარგებლეს და სრუტეში გამოვიდა გერმანელთა ჯერ 12 ნაღმოსანი და მერე კიდევ მეტი. ჩვენი რაზმი შეებრძოლა მტერს; ნავმა „ხრაბრი“-მ „გრომი“ ორჯერ წამოიყვანა ბუქსირზე მიუხედავად სხვა ნაღმოსნების მიშველებისა, მტერი მაინც უშენდა მძლავრად ამ 2 ხომალდს. „გრომ“-ზე მალე ზარბაზნებიც მოამტვრიეს სროლით და ცეცხლი გაჩნდა. ღელვის გამო ბუქსირები დასკდა. თუმცა მტერი დაჟინებით უშენდა „ხრაბრის“-ს ზარბაზნებს, მაგრამ უკანასკნელი მაინც მიუახლოვდა „გრომ“-ს და ბუქსირებით წამოყვანას უპირებდა მაგრამ ვერ შესძლო. „გრომ“-ის მეზღვაურთა დიდი ნაწილი „ხრაბრი“-ზე გადმოვიდა, ნაღმოსანი ჩაიძირა. ამ დროს „ხრაბრი“-მ მტრის ერთი ნაღმოსანი დაღუპა. მალე ჩვენებს ახლად მოსული ნაღმოსნები მიეშველნენ და გერმანელებმა პირი იბრუნეს. სხვა გემებზე ზარალი უმნიშვნელოა. ფლოტის უფროსის მოწმობით ჩვენმა გემებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. დამსწრეთა სიტყვით, მტრის 2 ნაღმოსანი ჩაიძირა, 2 მძიმედ დაზიანდა. კუნძულ ეზელზე გერმანელები თავის ჯარებს აძლიერებენ. სვეაბორგის ბატარეების შესახებ, საშიში ცნობები მოდის.

**ზამთრის კამპანიისათვის მზადება.**

**პეტროგრადი**. ოქტომბრის 2. სამხედრო მინისტრმა ყოველს არმიაში გაგზავნა თითო ინტენდანტი და თითო წარმომადგენელი საბჭოების ცენტრალ კომიტეტისაგან. ამათ დავალებული აქვთ უკეთესად მოაწყონ ჯარის საჭირო საგნებით უზრუნველყოფა.

## უკანასკნელი დეპეშები.

დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა ჯარის და ფლოტის ასარჩევი ინსტრუქცია, რომლის ძალითაც რიგ-რიგათ უნდა მოხდეს ჯარის დათხოვნა.

—

მზადდავების გაფიცვა შეწყდა, ისინი დაკმაყოფილებულნი არიან, გაზეთები გამოდიან.

—

სდგება „ბელორუსების“ მერვე ყრილობა.

[illegible] ძლიერ დაზაარალეს, მეორე ქუჩაზე გაძარცვეს სასტუმრო „ასტორია“. გაცატებულია 50000 მანეთზე მეტი.

—

ვედექტაში ბოლშევიკები მიტინგებისათვის ეკლესიებს იკავებენ, ხალხი ძლიერ აღელვებულია ამისთვის.

—

„რუსკაია ვოლია“ სწერს: „გასაოცარი სიწყნარე ჩამოვარდა მოულოდნელადდ რევოლუციონურ ქვრაში, რომელსაც პეტროგრადი ჰქვიან; პროვინციიდან კი თანდათან უფრო მკვეთრი და საშიში ხმები აიდის- იღუპება ხალხი, სოფლები, იღუპება რევოლიუცია. ამ ხმებს რათა ჰხდებიან იმ სამარისებური სიჩუმით, რომელზედაც წინათ საბედისწეროდ წინასწარ მეტყველებდა წერეთელი?

„ედინსტვო“ ამბობს: ტრაგიკულმა ბედისწერამ სხვა ხალხთა ებრაელობისადმი დამოკიდებულება კულტუროსნობის, ადამიანობის, და თავისუფლების მოყვარულობის საზომად გახადა. ებრაელთა დარბევა-აწიოკება მაჩვენებელია იმისა, რომ ხალხის ფსიხიკა რეაქციონურად შეიცვალა“.

## ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**ქალაქის დარბევის გამო**. ქუთაისში 4 ოქტომბერს ღამით ცუდი არაფერი მომხდარა. 4 ოქტომბერს ქუჩებში იკრიბებოდა ადგილობრივ ჯარის კაცები და მოითხოვდენ, რომ იუნკერთა რაზმი უკანვე გაეგზავნათ. საღამოს ხმა გავრცელდა, რბევის მომწყობი ჯარის-კაცები ეცდებიან, რომ არსენალი აიღონ და თოფები გამოიტანონ იუნკრებთან შესაბრძოლებლათო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სალდათთა საბჭოს ადგილობრივ პოლკების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მიმართეს, უკანვე გაგზავნეთ იუნკერთა რაზმი და წესიერებას ჩვენ დავიცავთო. ამის შესახებ და სხვა კითხვების გასარჩევათ გუშინ მოწვეული იყო ქუთაისის გარნიზონის სალდათთა დეპუტატების კრება.

**ქუთათელი მიტროპოლიტის ჩამოსვლა**. გუშინ დილის 11 საათზე ქუთაისში ჩამობრძანდა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. რიონის სადგურზე მას შეხვდა სამღვდელოება და საზოგადოების წარმომადგენელნი. თბილისიდან თან ჩამოჰყვნენ გრიგოლ ვეშაპელი, ლელი ჯაფარიძე და საკათალიკოსო საბჭოს წევრი პ. ბარათაშვილი. ქუთათელ მიტროპოლიტს ქუთაისის სადგურზე სხვათა შორის შეხვდა ქუთ. გუბერნიის კომისარი გრ. გიორგაძე, რომელმაც ავტომობილი მიართვა. გუბერნიის კომისარმა მიტროპოლიტს სიტყვით მიმართა. სადგურიდან მიტროპოლიტი და საზოგადოება საკათედრო ტაძრისაკენ გაეშურა. ტაძარში დიდძალი მლოცველი საზოგადოება დახვდა. მცირე პარაკლისის გადახდის შემდეგ მიტროპოლიტს სიტყვით მიმართა დეკანოზმა ქეიშვილმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თვით ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონმა. საკათედრო ტაძრიდან მიტროპოლიტი თავის სადგომზე (არქიელის გორა) წაბრძანდა.

**ბრძანება ქ. ქუთაისს**. ქუთაისის გარნიზონის დროებითმა უფროსმა პოლკოვნიკმა გროზნსკიმ ქუთაისის საზოგადოებას საყურადღებოთ შემდეგი ბრძანება გამოსცა:—

1. ამიერ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარე ბატონ ხარლამოვის და კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსს გენერალ მდივანის დეპეშის თანახმათ ქალაქ ქუთაისის მთელი გარნიზონი და ქუთაისში ყველა მოსული ჯარი მემორჩილება მე.

2. იმავე დეპეშის თანახმათ მთელი ძალა გენერალ-გუბერნატორის უფლებით გუბერნიის კომისარ გრ. კიმ. გეორგაძის ხელშია გადასული.

3. ვინაიდან ქალაქ ქუთაისში და მის მიდამოებში სამხედრო წესებია გამოცხა-

დებული ქალაქ ქუთაისის მთელ ჯარს და მოქალაქეს აუცილებლათ ეკრძალება:

ა) ქუჩებში ყოველგვარი შეჯგუფება და თავყრილობა. ბ) მიტინგებისა და კრებების გამართვა. გ) ქალაქის ქუჩებში 7 საათის შემდეგ გამოსვლა დ) ქუჩებში გარეშე შეიარაღებული პირების გამოჩენა ე) მაგარი სასმელების და ღვინის გაყიდვა.

4. სიწყნარისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის ყოველნაირი დარღვევის წინაამდეგ აუცილებლათ მიღებულ იქნება ზომები თვით იარაღის ხმარებითაც.

5. რომ აღდგეს ნორმალური ცხოვრება ყველა მოვაჭრეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააღონ დუქნები ვაჭრობის საწარმოებლათ.

6. ამ ბძანების დამრღვევნი, როგორც წესიერებისა და რევოლიუციის მტერნი სამართალში იქნებიან მიცემულნი და კანონის მთელი სისასტიკით დაისჯებიან.

ამასთან ერთათ მოხარული ვარ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ქუთაისის გარნიზონი და მცხოვრებლები განცდილ მომენტს სრულიად შეგნებულათ შეხვდენ და დღემდე წესრიგის აღსადგენათ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ შეიარაღებული ძალისათვის მიემართოთ.

ვიმედოვნებ და ღრმათ მწამს, რომ აწიც არ დაგვჭირდება შეიარაღებულ ძალას მივმართოთ და დღეიდან ნორმალური ცხოვრება დაიწყება.

დეე, თვითეულმა იცოდეს, რომ მოსული ჯარი დამსჯელი რაზმი კი არაა, არამედ არის ბურჯი და დამცველი რესპუბლიკისა რევოლიუციის მტრებისაგან, როგორიც არიან წესრიგისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამრღვევნი.

**✦ რევოლუციური როტები.** ქართველთა სამხედრო კავშირის ქუთაისის კომიტეტმა, ამიერ-კავკასიის სარევოლუციო საბჭოს თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს სთხოვა, რომ ნება დართოს, კომიტეტს შეადგინოს ორი რევოლუციური როტა, რომელიც დაიცავს წესიერებას.

**✦ მოწოდება გრ. გიორგაძისა.** გუბერნიის კომისარი გრ. გიორგაძე მოქალაქეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ თანახმად ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარის ხარლამოვის და სამხედრო ოლქის უფროსის მდივანის დეპეშებისა მთელი ქუთაისის გარნიზონი და მოსული ნაწილები ჯარისა ემორჩილება პოლკოვნიკ მროზინსკის და ადმინისტრატიული ძალაუფლება კი გენერალ გუბერნატორის უფლებით ჩემს ხელშია. კომისარი საზოგადოებას სთხოვს დამშვიდდეს, ნუ მიიღებენ მონაწილეობას დარბევაში და განაახლოს თავისი მოქმედება.

**✦ დამფუძნებელი კრებისთვის.** დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის ქუთაისის გუბერნიაში და კერძოთ ქუთაისში სიების შედგენა უკვე დასრულდა. სიების გამოქვეყნება 3 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქუთაისის დარბევის გამო სიების გამოქვეყნება გადაიდო.

**✦ სიების შესწორება.** ქალაქის თვითმართველობამ ქუთაისში არსებულ ყველა პოლიტიკურ პარტიებს მიმართა, რომ 6 ოქტომბრისათვის გამოგზავნონ სამ-სამი წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიების შესამოწმებლათ.

**✦ მოხელეთა გაფიცვა.** 4 ოქტომ. ქუთაისის სასამართლოში გაიმართა კრება სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებისა გაფიცვის მოწყობის შესახებ. კრებას დაესწრო. ევგ. გეგეჭკორი, გრ. გიორგაძე, გრ. ურატაძე, პოლკოვნიკი მროზინსკი და სხვანი. დიდი კამათის შემდეგ დაადგინეს, რომ, რადგანაც ქუთაისში ასეთი დარბევა მოხდა გაფიცვა შემდეგისათვის გადაიდოს. გაფიცვის დრო განუსაზღვრელია.

**✦ გატაცებული საქონლის აღმოჩენა.** სალდათთა საბჭომ ზომები მიიღო, რომ გატაცებული საქონელი აღმოაჩინოს. ბევრი საქონელი აღმოაჩინეს თვით პოლკებში და აგრეთვე კერძო ბინებზედაც.



ქუთათელი მიტროპოლიტი ყოვლად სამღვდელო ანტონი.

# ქუთათელ-მიტროპოლიტის ქუთაისში მობრძანების გამო.

მთელმა საქართველომ იდღესასწაულა პირველ ოქტომბერს განუსაზღვრელის აღტაცებულის სიხარულით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევა.

უძველესმა მცხეთის ტაძარმა კვლავ იხილა ას ჩვიდმეტი წლის შემდეგ მისი განახლება, მისი დიდების აღდგენა, რომელმაც მას ულვთო ტლანქმა ძალამ წართვა. დღეს კი დასავლეთი საქართველო და კერძოთ ქუთაისი განიცდის ულრეს სიხარულს. დღეს ქუთაისი ეგებება მის საყვარელ მღვდელთმთავრის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ქუთათელ მიტროპოლიტს. ეს სახელი ქუთაისთან შესისხლხორცებული იყო ამ ასი წლის წინეთ; დღეს კი ჩვენს ყურს უცხო ეჩვენება. ას ჩვიდმეტი წელია მას შემდეგ, რაც უწყალო, უსამართლო, ულვთო მსაჯულმა ქუთათელ მიტროპოლიტი ფეხშიშველი და თავშიშველი თავის სახლიდან გაათრია და რუსეთში წაიყვანა, რომელმაც გაჭირვებას ვერ გაუძლო და გზაში გარდაიცვალა. აი სწორეთ ამ დროს ახადეს ჩვენს სამოციქულო ქრისტეს ეკლესიას წმიდა მსოფლიო კრებისაგან მინიჭებული უფლება და უფლება მოსილი, უუფლებო რუსის ეკლესიას დაუმორჩილეს. ბატონპატრონათ მას მიუჩინეს რუსის სინოდი რომელმაც, ის „სიწმიდე“ და მზრუნველობა გამოუჩინა, რომ 150 მილიონის შემოსავლიანი მამულები წაართვა, შინაგანი ეკლესიის სიმდიდრე, ფას დაუდებელი თვალ მარგალიტები გაზიდა. ქართველ მეფიდგან შემკობილ ხტებს აუარებელი ძვირფასი ალმასები ააცალა, ქართული წიგნები გამოყარა და შიგ სლავიანური შემოზიდა. ღმერთო, ღმერთის მაგიერ, ბოჟე, ბოჟე გვაძახა, მღვდლები ჩინოვნიკებათ გადააქცია, მრევლი და მოძღვარი ერთი მეორეს შეაძულა და გადაკიდა.

ყველა ამას და მრავალ სხვა უბედურებას დღეს ქართველი ერი შხამ-ნაღველით იგონებს და ისტორიის შხამიან ფურცლებს აბარებს, დაკარგულ დიდებას იბრუნებს, გონებას ცილდება და თავისუფალ ხანაში გადადის და რა გასაკვირველია, რომ დღეს ქუთაისი სულითა და გულით ამას დღესასწაულობდეს?

ჩვენ მარტო ის კი არ გვახარებს, რომ ქუთათელ-მიტროპოლიტობა განახლდა. ჩვენი სასიხარულო, ის არის რომ ჩვენი საყვარელი მიტროპოლიტი ანტონი თავისი მეთაურობით ჩვენს ეკლესიას დაუბრუნებს, იმ ქართველურ ელფერს, რაც წინეთ ჰქონდათ, სანამ მას არ გადააგვარებდენ და გადააუკუღმართებდენ. ვიმედოვნებთ, მათი მეუფება იქნება მტკიცედ ძლიერი დარაჯი მისდამი ღვთივმონიჭებული სამწყსოისა.

სიხარულს კვლავ გიასკეცებს, ის რომ ამ ჩვენი ეკლესიის თავისუფლებას მოყვება მთელი საქართველოს თავისუფლება, სრული ბედნიერება და მაშინ, მხოლოდ მაშინ იდღესასწაულებს სრულის გამარჯვებით მთელი საქართველოს ბრწყინვალე აღდგომას.

**მღ. რ. ხუნდაძე.**

**✦ ზუგდიდის ქალაქის არჩევნები.** როგორც ცნობები მივიღეთ 1 ოქტომბერს ქ. ზუგდიდის ქალაქის არჩევნები მომხდარა. არჩევნებში მონაწილეობა მიუღია ეროვ. დემოკრატებს, ს.-დემოკრატებს და ს.-ფედერალისტებს. მიღებულ ცნობებით ეროვ. დემოკრატებს მიუღია 342 ხმა, ს.-დემოკრატებს 735 და ს.-ფედერალისტეას 379 ხმა. თვითეულმა პარტიამ თუ რამდენი ხმოსანი გაიყვანა ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს.

**✦ ჟურნ. „ნაკადული“ს** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მე-10 და მე-11 ნომერი მცირე წლოვანთათვის და მე-5 მოზრდილთათვის.

# რესპუბლიკის დებულება.

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 2. 1) რუსეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭო შესდგება იმ წევრთაგან, რომელთაც დროებითი მთავრობა მიიწვევს საზოგადო პოლიტიკურ ორგანიზაციების მიერ წამოყენებულ პირთაგან. 2) საბჭოს წევრთა სია გამოქვეყნდება დროებით მთავრობის უწყებაში 3) იმ შემთხვევაში თუ რომელიმე წევრი დროებითი საბჭოდან გამოვა, ან და გარდაიცვლება და მისი ალაგი დაიცლება—მის მაგიერ ირჩევენ სხვას, ოღონდ ამ დებულების პირველ მუხლის მიხედვით: 4) საბჭო თავის შორის ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგებს, მდივანსა და მდივნის ამხანაგებს. 5) თვითეულ საბჭოს წევრს ენიშნება ერთ დღე და ღამეში 15 მანეთი ჯამაგირი, ამის გარდა თვითეულს ერთდროულად 100 მანეთი ეძლევა. 6) რუსეთის რესპუბლიკის დროებით საბჭოს წევრები თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს გამოთქმულ აზრებზე პასუხს აგებენ მხოლოდ დროებით საბჭოს წინაშე. 7) რუსეთის რესპუბლიკის დროებით საბჭოს წევრთა სამართალში მიცემა საბჭოს წინასწარ გადაუწყვეტელად არ შეიძლება. არ შეიძლება აგრეთვე რომ დროებით საბჭოს წევრს მოესპოს ან და შეეზღუდოს თავისუფლება დროებით საბჭოს წინასწარ ნებადაურთველად, ხოლო თუ დროებით საბჭოს წევრს ბოროტმოქმედებაზე მოასწრეს, მაშინ დროებით საბჭოს ნებართვას აღარ ელიან და მის შეპყრობას დაუყონებლივ აცნობებენ დროებით საბჭოს. 8) საბჭოს წევრები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან ვიდრე ისინი რუსეთის რესპუბლიკის დროებით საბჭოს წევრებად ითვლებიან, მათ არ გაიწვევენ არც ლაშქარში, არც ფლოტში, არც სათადარიგო ჯარში. 9) საბჭოს უწყებაში შედის იმ საკანონმდებლო წინასწარ განზრახვათა განხილვა, რომელთა შესახებაც დროებითი მთავრობა საჭიროდ სცნობს საბჭოს დასკვნას. საბჭოს უწყებაში შედის აგრეთვე წინასწარი შემუშავება ყველა საკანონმდებლო საკითხებისა რომელიც საბჭოს საკუთარ ინიციატივით საჭიროდ იქნება აღიარებული. 10) საბჭოს უწყებაში შედის აგრეთვე ყველა იმ საქმეთა განხილვა, რომელთაც მას დროებით მთავრობა გადასცემს. 11) საბჭოს უფლება აქვს შეეკითხოს დროებით მთავრობას სხვადასხვა საკითხებზე, მხოლოდ ეს საკითხები დროებით მთავრობის უწყებაში კი უნდა შედიოდეს. საბჭოს უფლება აქვს აგრეთვე საბჭოს საქმის ჟარმოების შესახებ სხვადასხვა კითხვებით მიმართოს დროებით მთავრობას. 12) საბჭოს წევრთა შორის აღძრულ და საბჭოში განსახილველად წარდგენილ საკითხების წინასწარ შესამუშავებლად მას ნება აქვს შეადგინოს თავისი წევრთაგან საგანგებო კომისიები. 13) საბჭოს კომპეტენციაში შესულ საქმეების და საკითხების განხილვისას, მინისტრებს ან მათ წარმომადგენლებს უნდა მოუსმინონ, როცა კი ამას უკანასკნელნი მოიურვებენ. 14. ის საკანონმდებლო წინადადებანი და სხვა საქმეები, რომელთა მისაღებად დრ. მთავრობა საჭიროდ სცნობს საბჭოს დასტურს, საბჭოს შესაფერ მინისტრებმა უნდა შეიტანონ. 15. მოხსენება იმ საკანონმდებლო საკითხების შესახებ, რომლებიც საბჭოს წევრთა შორის აღიძრება, წევრებმა საბჭოს თავმჯდომარეს უნდა გადასცენ დაწერილი. იგი უკანასკნელი 30 წევრის მიერ მაინც უნდა იყოს ხელმოწერილი; საბჭო განიხილავს მოხსენებას და ან უკან არ მიიღებს ანდა საბჭოში შეიმუშავებენ წინასწარ და დრ. მთავრობას გადასცემენ. 16. საკითხები დრ. მთავრობის მოქმედების შესახებ წარდგენილი უნდა იქმნეს არა ნაკლებ 30 წევრის მიერ ხელმოწერილი 17. მე-16-ე მუხლში მოხსენებულ საკითხების შესახებ განცხადება უნდა მიერთვას საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც საბჭოს სხდომაზე გამოაქვეყნებს და, თუ საბჭომ მიიღო, დრ. მთავრობას გადაეცემა. 18. დროებითმა მთავრობამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეატყობინოს საბჭოს განმარტება მისადმი წარდგენილ საკითხის გამო შესაფერ მინისტრის ან და საგანგებოდ დავალებულ პირის საშუალებით. 19. დრ. მთავრობას შეუძლია არ მისცეს განმარტება საბჭოს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სახელმწიფო უზრუნველყოფის ინტერესები, რაც არ შეიძლება გამოქვეყნდეს კანონის ძალით.

20. განხილულ საქმეების შესახებ გამოტანილი დადგენილებანი და საბჭოს წევრთა განსაკუთრებული აზრი საბჭოს თავმჯდომარემ უნდა აუწყოს დრ. მთავრობას.

**საბჭოს საჯარო კრებები.**

21. რესპუბლიკის დროებითი საბჭოს სხდომები საჯაროდ უნდა ხდებოდეს. 23. ის პირნი, რომელნიც კეთილსინდისიერად ალნუსხავენ ყველა იმას, რაც რესპუბლიკის საჯარო სხდომაზე ხდებოდა, და გაავრცელებენ ცნობებს ამის შესახებ, პასუხისმგებელნი არ არიან. 23. საბჭოს სხდომები შეიძლება ფარული იყოს საბჭოს დადგენილებით, თავმჯდომარის განკარგულებით და დრ. მთავრობის წინადადებით. 24. საბჭოს კომისიის სხდომებს კერძო პირები არ უნდა ესწრებოდნენ. კომისიას უფლება აქვს ხმის უმეტესობით სათათბირო ხმით მოიწვიოს სხდომაზე მცოდნე პირები.

**საბჭოს შინაგანი წესრიგი.**

25. სხდომის დარბაზში დრ. მთავრობის წევრთათვის უნდა იყოს საგანგებო ადგილები. 26. საბჭოს მუშაობის შინაგანი წესრიგი განისაზღვრება ნაკაზით, რომელიც თვით საბჭომ უნდა შეიმუშაოს ამ დებულების თანახმად. 27. წესიერების დარღვევისათვის საბჭოს წევრი განდევნილ იქნება სხდომიდან ან და განსაზღრულ ვადით კრებებზე მონაწილეობის მიღების უფლება წაერთმევა მხოლოდ საბჭოს საერთო კრების ან შესაფერ კომისიის დადგენილებით.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე მალიანტოვიჩი.

1917 წ. ოქტომბრის 2.

# ქალაქის საბჭოს კრება

**4 ოქტომბერს.**

კრება დანიშნული იყო დილის 10 საათზე. მაგრამ ის მხოლოთ $10_{1/2}$ ს. შესდგა. კრების განსახილველათ მხოლოთ ქუთაისის დარბევის საკითხი იყო უწყებაში შეტანილი. საზარელ სურათს წარმოადგენდა დარბაზი როცა შიგ ორი ვაჭარი შემოვიდა, რომლის ქონება უკანასკნელ წვრთამდე განადგურებით. მათ თვალებიდან ცრემლები მოსდიოდათ და საზოგადოების ხმით მოსთქვამდენ თავიანთ უბედურებას. ისინი ხმოსნებს დაჟინებით თავიანთი დამსხვრეულ და გაცარცულ სავაჭროებისკენ ეძახოდენ. უკვე $10_2/^1$ საათია და კრებას თავმჯდომარე ალექსანდრე ჯაფარიძე გახსნილათ აცხადებს.

**თავჯდომარე:** მოქალაქენო! დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ჩვენ შევიქენით საზიზღარი მოვლენის მოწმენი. რაც მოხდა ამ ორი დღის განმავლობაში თქვენ უკვე მოგეხსენებათ. მე ვერ მოგიხმეთ თქვენ თვით რბევის დღეებში, რადგან ხმოსნების უმეტესი ნაწილი ქალაქს თავს დასტრიალებდა და რბევის შესაჩერებლათ აქტიურათ მოქმედებდა. მე რომ ამ ხანაში აქ სხდომა გამემართა, ეს საქმეს უფრო ზიანს მოუტანდა. დღეს უკვე წარსულია ის რაც მოხდა და ამიტომ მოგიწოდებ თქვენ უმფრო დამშვიდებით მოვილაპარაკოთ, თუ რა ზომები უნდა იყოს მიღებული. უნდა აღვნიშნო, რომ როცა ქალაქში რბევა დაიწყეს მილიციონერები ამ მოვლენას თოფის სროლით შეხვდენ. ამის გამო დამრბევნი დროებით თითქმის მიიმალენ, მაგრამ როცა დარწმუნდენ რომ სროლა ჰაერში ხდება დარბევა განაგრძეს, რამაც უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო. ბოლოს როცა სროლა სრულ უშიშროებას წარმოადგენდა რბევაში არა ჯარისკაცებმაც მონაწილეობა მიიღეს; ისინი აქტიურათ თუ არა პასიურათ მაინც ეხმარებოდენ და დატვირთულ ხელს უცლიდენ ჯარის კაცებს. დიახ ამ გარემოებას ხაზი უნდა გაუსვათ და შესაფერი მსჯავრი გამოუტანოთ ჯერ მათ ვინც დაიწყო ეს რბევა და ბოლოს ვინც ხელი შეუწყო. რა სახით უნდა იყოს აღნიშნული მათი სახელი ვინც „პოგრომშჩიკის„ სახელწოდება დაიმსახურა. ჩვენ უნდა გვესმოდეს და უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ამის წინააღმდეგ მკაცრი ზომები არ მივიღეთ ადვილი შესაძლებელია „პოგრომი“ კიდევ განმეორდეს და ამიტომ ქალაქის თვითმართველობას რევოლიუციის პირველ დღიდან ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი არ ქონია თვალწინ, როგორც დღეს. (შემდეგ სიტყვას რუსულათ იმეორებს და ფრონტის კომისრის წარმომადგენელს ესალმება.)

**ფრონტის კომისრის წარმომადგენელი:** დიდ მადლობას უხდი ქალაქის თვითმართველობას მოსალმებისათვის და ამასთანავე ბოდიშს ვიხდი რომ მე არ შემიძლია ქართულ ენაზე ვილაპარაკო. მე ჩამოვედი აქ ფრონტის კომისრის ბრძანებით რომ აღვადგინო ქალაქში წესიერება და ამისთვის მე და გეგეჭკორმა შევიმუშავეთ რიგი ზომების, რომლებიც მიღებული არიან და რომლის მიღებას აწიც განვაგრძობთ. ეს ზომები ზოგი სამხედრო ხასიათისა არის და ზოგი წმინდა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს. და სანამდი ქალაქში სრული სიწყნარე არ ჩამოვარდება მე და ჩემი რაზმი აქ ვიქნებით.

**თავმჯდომარე:** მე გთხოვთ რადგან უცხო პირები არიან კრებაზე, რომლებმაც ქართული არ იციან, ფორმას გვერდი აუხვიოთ და დღეს რუსულათ ვილაპარაკოთ. მე მგონია რომ ამ შემთხვევაში წინააღმდეგი არავინ არ იქნება.

**ხმოსანი ურატაძე:** როგორც კი მივიღეთ ცნობა ქალაქის რბევის შესახებ, ყოველივე ძალა. რომელიც კი მოგვეპოვებოდა, მაშინვე ადგილებზე იქნენ დაგზავნილი. მაგრამ აქტიური წინააღმდეგობა „პოგრომჩიკებს“ არავინ არ გაუწია ჩვენ ყოველივე იმედებს „პატრულნი როტებზე“ ვამყარებდით მაგრამ მათ იმედი არ გაამართლეს და ამ წინააღმდეგობაზე უარი განაცხადეს. შემდეგ მივმართეთ პოლკების კომიტეტებს რომლებმაც იგივე გვიპასუხეს, მხოლოთ შეგვპირდენ რომ ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ და აქვე შევაკავებთ ჯარისკაცებსო. შემდეგ ამისა მივმართეთ ქართულ ბატალიონებს რომლებმაც ვერაფრით ვერ გვაწუგეშეს. როცა დავრწმუნდით, რომ არავითარი ფიზიკური ძალა ჩვენ ხელში აღარ იყო მივმართეთ მუშებს და ვინტოვკებიც დაურიგეთ. ისინი ვინტოვკებს ისროდენ და ამ სროლის ქვეშ ხდებოდა ქალაქის რბევა. ჩვენ პირდაპირი მავთულით მივმართეთ ქ. ბა-

თუმში საიდანაც მხოლოთ ერთი საათის შემდეგ გვიპასუხეს და ჯარსაც შეგვპირდენ, ეს ჯარი ჩვენ მხოლოთ მეორე დღის დილის 6 საათზე მივიღეთ. შემდეგ მივმართეთ თფილისში საიდანაც შეძლების და გვარათ დახმარება გაგვიწიეს. ეს იყო სულ რაც ინფორმაციის სახით მინდოდა თქვენთვის გადმომეცა. მართალი არის რომ ქალაქის თვითმართველობის კრება მაშინვე უნდა შეკრებილიყო, მაგრამ როგორც ამხანაგმა თავჯდომარემ მოგახსენათ ეს უფრო ზიანს მოუტანდა საქმის ვითარებას. და დღეს როცა დამშვიდებით ჩვენ ამ დარბაზში შევკრებილვართ საჭიროა მივიღოთ სათანადო ზომები. ამისთვის მე საჭიროთ მიმაჩნია 1. ამოვირჩიოთ ერთგვარი კომისია რომელიც გამოარკვევს ქალაქის ზარალს 2. მეორე კომისია რომელიც სასურსათო კომიტეტთან შეთანხმებულათ იმუშავებს და ეცდება ქალაქს შიმშილი თავიდან ააცდინოს, რომ ამ ნიადაგზე რბევა კიდევ არ განმეორდეს. 3. დაუყონებლივ შევქმნათ რევოლუციონური კომიტეტი სადაც შევლენ წარმომადგენლები რევოლუციონური დაწესებულებიდან და პოლიტიკური პარტიებიდან. 4. რომ ქალაქის თვითმართველობამ მიიღოს ზომები მოქალაქეების მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის ამისთვისაც საჭიროა კომისია, მაგრამ ეხლა ყველას უნდა ახსოვდეს რომ რევოლუციის პროცესში ვართ და იდეალურ წესრიგს ქალაქში ვერ დავამყარებთ. აგრეთვე ამ კომისიამ უნდა გამონახოს წყარო მათ მატერიალურ დასაკმაყოფილებლათ, რომელიც ქალაქს დაიცავენ. ეს ზომები მოქალაქენო წმინდა პრაქტიკული არის და ეხლავე უნდა იქნეს მიღებული. (დარბაზში შემოდის ე. პ. გეგეჭკორი).

**თავჯდომარე:** შეცდომაში არ შევალ თუ განახლებული ქალაქის თვითმართველობის სახელით მივესალმები აქ მყოფ ამხ. გეგეჭკორს. (კრება ტაშით შეხვდა ამ წინადადებას. გეგეჭკორმა მადლობა გადაიხადა).

**აკაკი ფაღავა:** (ლაპარაკობს ქართულათ) ყველაფერი ის, რაც ამხ. ურატაძემ სთქვა, კარგია. მე დარწმუნებული ვიყავი რომ იმ ქალაქში, სადაც რევოლუციონური დაწესებულებები არსებობდენ, ასეთი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენ მოწმენი შევიქენით ისეთი უბედურების, როგორიც არის „პოგრომი". დღეს, როცა ყველამ ვიცით რა მოხდა, მისი ისტორია კი აღარ არი საჭირო, არამედ უნდა გამოვარკვიოთ მიზეზები ამისი. ჩვენ ამხანაგებს შეგვიძლია დაუჯეროთ მაგრამ მიზეზების გაგება მაინც საჭიროა იგრეთვე საჭირო იყო დღეს ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებს ელაპარაკნათ, რომლებიც შეგვატყობიებდენ თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ქალაქი. რომ ეს უბედურება არ მომხდარიყო ამისთვის ყველას უნდა ეზრუნა. მე ყოველივე ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ რომ ვისმეს ვაწყენიო, არამედ კიდევ ვიმეორებ რომ სამწუხაროა ასეთი მოვლენა ასეთ რევოლუციონურ ქალაქში.

**ხმ. გაფრინდაშვილი.** მე მაკვირებს ამხ. ფაღავა რომელსაც დღეს უნდა დეტალურათ ყველაფერი გაიგოს. ნუ თუ მას არ შეუძლია დაეთანხმოს ხმცსნებს, და მაინც სურს ვინმე გაასამართლოს აქ. მე ამის წინააღმდეგი ვარ და მოვითხოვ პირდაპირ საქმეს შეუდგეთ.

**ხმ. ურატაძე:** ეხლა დრო არის მოქმედებისა და არა მიზეზების გამოძიებისა. მიზეზების გამოძევა ეს რთული საკითხია და ამიტომ ვინც უნდა მოგვიყვეს ჩვენ აქ მას, ის მოყოლა არ იქნება გულწრფელი. ამიტომ არის საჭირო რევოლუციონური კომისიების შექმნა, რომლებიც ყველაფერს გამოიძიებენ. ჩვენ, რომ აქ შეუდგეთ მიზეზების გამოძიებას, აქ ორი დღე ვისხდებით და გაკეთებით მაინც ვერას გავაკეთებთ. ეს ცალკე კომისიებს უნდა დაევალოსთ და აქ კი პრაქტიკულ მუშაობას უნდა შეუდგეთ.

**ხმ. ტრიფონ ჯაფარიძე:** (ლაპარაკობს ქართულათ). მე მგონია დღეს ჩვენ წინ კითხვა არის დასმული რა ვქნათ? რა გავაკეთოთ? რომ ეს უბედურება თავიდან ავიცილოთ. როცა ადამიანი კვდება-მაშინ მხოლოთ იმაზე ზრუნავენ თუ როგორ დამარხონ და არა იმაზე—რა წამალი მოუხდა, რომელმა აწყინა ან როდის მოკვდა. ძალიან საინტერესოა მიზეზები მაგრამ ვინ არის დამნაშავე -აქ საჭირო არ არი. ქალაქის საბჭომ უნდა დააარსოს თავდაცვითი კომიტეტი, რომელიც შემოიერთებს ყველა პოლიტიკური პარტიების წევრებს და პროფესიონალური დაწესებულებებისას. მე ვერ დაუწყებ ძებნას ქალაქში ვინ მარცხნით ისვრის ვინ მარჯვნით. ვერც პარტიაში ჩაწერილ ხალხს ვენდობი. მე ნათლათ უნდა უყურებდე და უნდა ვიცოდე ვის აქვს ჩაბარებული ჩემი თავი.. ასეთი კაცი ჩვენ უნდა ავირჩიოთ დღეს; მე ნათლათ უნდა ვუყურებდე მის სახეს, ის უნდა იდგეს გარეშე ყოველი პარტიისა, რწმენისა და დაწესებულებისა. როცა ჩვენ ასეთ კომიტეტს ავირჩევთ, თუ მან ვერ შესძლო ქალაქის თავდაცვა, ის 24 საათში უნდა გადადგეს. თუ ქალაქის თვითმართველობამ ასეთი კომიტეტი ვერ დაარსა, ისიც ვალდებულია რომ გადადგეს. მე არ ვძებ, თუ რათი დაიცავენ ქალაქში მშვიდობიანობას, გინდა სამხედრო ძალა იხმარონ, გინდა მილიციონერები, გინდა ხელ-ახლათ დაიქირაოს ვინმე და რაც უნდა ოლონდ მოქალაქეების ცხოვრება უზრუნველ უნდა ყოს. ამას აასრულებს კომიტეტები; სიწყნარე და მშვიდობიანობა ნათელი და უზრუნველყოფილი იქნება და ის შემდეგ გადადგება. ჯერ ქალაქი დავიფაროთ და შემდეგ მე დავანახვებთ ვინ არის მიზეზი და დამნაშავე. ამ სამი დღის განმავლობაში კომიტეტმა ყოველ ნაირი წესი უნდა შეიმუშაოს. მე ერთი თვე და ორი კვირა კი არ მინდა სიცოცხლე, მე მსურს რომ სამუდამოთ უზრუნველყოფილი ვიქნე მშვიდობიანობით. ამ კომისიამ უნდა მოაგვაროს სასურსათო საქმე, მან უნდა გაატაროს ერთსულოვნება მცხოვრებლებში, მან უნდა იკისროს დამცველი რაზმის შედგენა. (მაყურებლები ტაშს უკრავენ.) **ბაჭუა.**

შემდეგი იქნება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ანარქია.

შინაგან საქმეთა სამინ. ყოველ დღე მისდის ცნობები შიდა გუბერნიებიდან, რომ იქ გლეხები ნამდვილ ანარქიას იწყებენ, ადგილობრივი მთავრობა ვერაფერს აწყობს. გლეხები მთავრობის წარმომადგენლებთან.

### კუნძულ ეზელთან.

კუნძულ ეზელთან ცხარე ბრძოლა სწარმოებს. გერმანეთის სამხედრო შტაბის უფროსი ბერლინში ატყობინებს, რომ რუსეთის ნაპირებს გარდა 8 დრედნოუტისა რამდენიმე კრეისერი ესვრის.

### ვერხოვსკის განცხადება.

რუსეთის ლაშქრის მთავარმა სარდალმა გენ. ვერხოვსკიმ განაცხადა: გერმანელებს სწადთ უნუგეშო განწყობილება შექმნან რუსის ლაშქარში და განსაკუთრებით კი პეტრეს ქალაქის აღელვება აქვთ მიზნათ ამიტომ არის, რომ გააფთრებული ეკვეთენ რუსეთის სანაპიროებს და კუნძულ ეზელს უშენენ.

### საზღვაო ბრძოლის შესახებ.

ავტორიტეტიულ წრეებში ირწმუნებიან, რომ გერმანელების მიერ საზღვაო ბრძოლის დაწყება ხმელეთზე შემოტევის წინამორბედიაო. თუ გერმანელები რიგას ყურს დაეუფლენ, მაშინ ისინი აუცილებლათ პეტრეს ქალაქის საწინააღმდეგო ოპერაციებს დაიწყებენო.

### სამხედრო წესები.

ხარკოვში და ხარკოვის მაზრაში საპოგრომო მოძრაობის გამო სამხედრო წესები გამოცხადდა.

### თათბირი.

მოკლე ხანში დრ. მმართველობას თათბირი ექნება სახელმწიფო თავდაცვის საქმის ორგანიზაციის მოწყობის შესახებ. შეიმუშავებენ ანარქიასთან საბრძოლ გეგმას და ანარქიულ გამოსვლების მომწყობთა დასჯის წესს.

### ფარმაცევტთა გაფიცვა.

მოსკოვში ფარმაცევტთა გაფიცვა გრძელდება, აფთიაქის პატრონთა და ფარმაცევტთა შორის გამართულმა მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაიარა.

### გაფიცვის ქსელში.

მთელ რუსეთს მოედო გაფიცვის ალი. იფიცებიან წარმოების ყოველ დარგში. სტამბის მუშები, ხელზე მოსამსახურენი, ნოქრები, დარაჯები, მზარეულები, ტრამვაის მუშები და გაზეთის დამტარებელნი. მოთხოვნილებათა წამოყენება ყოველ თვეში და კვირეში ხდება ხოლმე. შრომის ფასის მომატების თხოვნას საზღვარი არ აქვს. ქარხნების და ფაბრიკების შეჩერების შემდეგ რუსეთის ბირჟაზე უმუშევართა რიცხვი გადიდდა. უმუშევარნი ხშირათ ანარქიულ გამოსვლებს უწყობენ ხელს.

### შაქრის კრიზისი.

შაქრის დამამზადებელი ქარხნები უკვე იკეტება ამის გამო გაზ. „ბირ. ვედ." იწერს: „რუსეთში აბსოლიუტურათ მოისპობა შაქარიო."

### რკინის გზის გაფიცვა.

სამ რის რკინის გზის ხაზზე გაფიცვა გრძელდება, რკინის გზის მოსამსახურენი დრ. მმართველობის დეკრეტით უკმაყოფილონი არიან.

### ჩხრეკა.

რუსეთის შიდა გუბერნიაში დადიან უცნობი პირები და ახდენენ ჩხრეკას. ხშირათ მცხოვრებლებს ართმევენ ფულს. ადგილობრივმა მმართველობამ მათთან ბრძოლაში ვერაფერი გააწყო.

## გურია.

### ეროვნული დემოკრატიულ პარტიაში.

დ. ხიდისთავში 24 სეკტემბერს გაიხსნა ჩვენი კლუბი. ამავე დღეს ნაშუადღევს 3 ს. გაიმართა ლექცია ადგილობრივ ერ.-დემ. პარტიის კომიტეტის ხელმძღვანელობით. ლექტორები მოწვეული იყო ქუთაისიდან. თეატრის მთელი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით; პირველი ლექცია წაიკითხა გ. ვასილ წერეთელმა შემდეგ თემაზე: „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ძირითადი საფუძვლები". რეფერენტმა დინჯათ და მდაბიო ენით მკაფიოთ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას მთავარი დებულებები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა, დაასაბუთა; აუცილებლობა ეროვნულ პარტიისა ყოველ ერისათვის, თუ მას უნდა, რომ შერჩეს სახელმწიფოებრივი სახე, შეეხო მეცნიერულათ და გაიყვანა პარალლელი პირველ-ყოფილ კომუნიზმს და სოციალიზმს შორის, განმარტა უტოპისტობა სოციალისტებისა, მათი უნიადაგობა ჩვენში და აღნიშნა თუ როგორ მალე დაიწყება პროცესსი მათი გადმოჯგუფებისა ჩვენს დროშის ქვეშ. ძალიან ვრცლათ შეეხო რეფერენტი აგრეთვე მიწის საკითხს და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აგრარული პროგრამები ს. დემოკრატებისა, ს. ფედერალისტებისა და რევოლუციონერებისა.

მეორე ლექცია წაიკითხა ი. ქლენტმა: როგორ უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი საქართველოში. ლექტორმა მგრძნობიარე სიტყვებით აუხსნა საზოგადოებას, თუ როგორ მიჩქმალული და მიფუჩეჩებული იყო ჩვენი ეროვნული გრძნობა და ეროვნული საკითხი, და დღეს როგორ ფრიალებს ეროვნული დროშა.

ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი. ოპონენტათ გამოვიდა მხოლოთ ერთათ ერთი „ბოლშევიკი". მან ქებათა ქება შეასხა სოციალიზმს, ვითომდა ჩვენი (ე. დ.) უნიადაგობა და მისი მალე გაქრობა აღმოაჩინა, თუ სოციალური რევოლუცია მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ალიარა დიდი მომავალი ეროვნ.-დემოკრატიულ პარტიისა. ოპონენტმა ილაპარაკა მთელი 1 ნახევარი საათი მეტი, რაც თვით ლექტორმა*).

ლექტორმა გაიბათილა ყველა დებულება ოპონენტისა და თავისი აზრი დაასაბუთა მსოფლიოთ გამოჩენილ ავტორიტეტებით. მაგრამ „ბოლშევიკი" რის „ბოლშევიკია"? სცნა რა თავი დამარცხებულათ, წამოკრა დემაგოგიურ კვანტებს ხელი და პირადათ შეურაცხყო ლექტორი. უკანასკნელმა პროტესტი განაცხადა, ასტყდა საშინელი აურ-ზაური. თავჯდომარემაც პროტესტი განაცხადა, რის შემდეგ ლექტორმა და თავჯდომარემ დემონსტრატიულათ დასტოვეს დარბაზი.

იგივე ლექცია-კამათი გაიმართა დ. ჩოხატაურში შაბათს 23-ს, სადაც ლექციამ მეტათ მწყობრათ ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

**ერთი დამსწრეთაგანი.**

## ქართველები და ეხლანდელი ომი.

უცხო ქვეყნებში ძველი დროიდგან ქართველები ცნობილი იყო, როგორც კულტურული ერი. საქართველო ხომ ბუნებრივი ხიდი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოებშუა; ამას ამოწმებენ ყველა სახელმწიფოების ძველი დროის არქივები და დავთარხანები, სადაც საინტერესო წერილები დაცული საქართველოზე, ეს თვალსაჩინოთ დაანახა მთელი რუსეთის ხალხს ყოვლად სამღვდელო კირიონის გამოკვლევამ, როგორც ამას კემოდ დავინახავთ. დამხობილ რუსეთის რეჟიმის დროს ქართველთა ერის დიდებული სახელი თანდათან მტარვალთა ფეხქვეშ ითელება და ბუმბერაზების ლახვარივით გულის განგმირავ კალმის წვერის მოსმით. ჩვენდა სამწუხაროდ ზოგიერთი ჩვენი მამულის შვილები დღიდგან ბედკრულ ნიადაგზე საქართველოს შეერთებისა რუსეთთან უკანასკნელ დღემდე ქართველად არ აცხადებდენ თავიანთ თავს და ამ საქციელით ნაცვლად ზნეობრივად ტანჯვისა სინდისის მხილებისაგამო კიდევაც მედგრად ამპარტავანობდენ კარიერის, მოწყალების და ამ ქვეყნიერი ბედნიერების მოსაპოებლად. ზოგიერთნი კი უნებლიედ გარუსებული არიან სხვა და სხვა გარემოების გამო დევნისა და სასამართლოსაგან მინიჭებული სასჯელისა გამო, ვითომ და საქართველოში არ მოიპოებოდა ქართულ დამნაშავესთვის სასჯელის საშუალება 1. წასრულ წელში ერთ საავათმყოფოში ქ. ყაზვინში ზიარების დროს სხვათა შორის მოვიდა ჩემთან რუსი, რომელმაც დამაწერია გვარი:,, იოსელიანი,, კითხვაზე მან მომიგო, რომ სრულიად არ იცის ქართული და ქართველების შესახებ მარტო ამ ომიანობის დროს გაიგო ცოტა რამ. პაპა მისი ყოფილა ქ. ხარკოვში გადასახლებული რა მიზეზით არ იცის. ასეთი შემთხვევები ურიცხვია.

ბევრს განათლებულ პირებს გავეცანი, რომლებმაც საქართველოზე არაფერი იციან. დასავლეთის ფრონტიდგან ჩემთან სპარსეთში ერთად მგზავრობდენ რამდენიმე ოფიცრები და ერთი ექიმი ქალი. ეს უკანასკნელი ამ ომიანობის დროს გაცნობია ქართველებს. დღემდის სიტყვა „ქართველი" მისთვის ყოფილა სრულიად უცნობი, ეს ქალი გაოცებულია ამ უცნობი ერის შვილების მამაცობი, ზრდილობით, თავაზიანობით, მიხრა-მოხრით სიტყვა-პასუხით და სხვა ყოველივე იმით, რაც ამკობს ადამიანის ოჯახის და მამულის შვილობას. „მე რუსეთს გარდა სამზღვარგარეთ სახელმწიფოები შემომიარია და არსად არ მინახავს ქართველი ჯარის კაცისავით კეთილ აღზრდილი სამხედრო პირი. ქართველ ოფიცრებს მე ამის შემდეგ ვცნობ, რომ ისინი ქართველებია, მანამდის ისინი რუსთაგანი მეგონა, რადგანაც რუსებშიაც ლაპარაკობენ სხვადასხვა კილოთი მან მთხოვა რუსულ ენაზე დაწერილი საქართველოს ისტორია. მე გზაზე მოუყევი მას საქართველოზე, რაც ვიცოდი და ყაზვინში მისვლიას მიუტანე ბინაზე ყოვლად სამღვდელო კირიონის წიგნი „Культурная роль Иверіи въ исторіи Россіи". წაკითხვის შემდეგ ქალი გაკვირვებული იყო, რომ მას არაფერი სცოდნია საქართველოზე. მე ესა არ გამკვირვებია, რადგანაც ის ქართველთაგან მარტო სამხედრო პირებს იცნობდა და ზოგიერთი ვაჟბატონებთაგანი დღიური დროს მოძრაობით არიან გატაცებული და სამშობლოზე არაფერი მოაგონდებოდათ სალაპარაკოთ.

რუსეთის მდაბიო ხალხი ისე ჩამორჩენილი და განუვითარებელია, რომ საქართველოზე კი არა თავის თავზედაც არაფერი იცოდა დღემდის. ამისათვს რუსის სალდათი ხშირად ქართულ სალდათს მოუნათლავად სთვლიდა, რაც იწვევდა დიდ უკმაყოფილებას მათ შორის. აბა ერთხელ დაგვჭირებია ჩარევა ამ უკმაყოფილობის დროს მშვდობის მოსახდენად, და დამნაშავე თავს იმით მართლულობდა, რომ მათთვის არავის უთქვამს, რომ ქართველი ქრისტიანია.

საერობო კავშირის საავადმყოფოებში სპარსეთის ფრონტზე ურიცხვი ქართველები ყავთ და არიან [illegible] მოსამსახურეები, ამათ შორის არიან — ექიმი ქალები, მოწყალე დები, ექიმები და ფერშლები [illegible] დი დამოკიდებულება აქვთ ამავე დაწესებულება ების დეზიფენკტორ ტრიფონ ბასილაიასთან, ამ უკანასკნელს ზემო მოხსენებული პირები დიდის მადლობით უხასიათებენ ქართველ ჯარის კაცების ყოფაქცევას და აღზრდილობას; მათგანი ბევრი დაინტერესდა ქართველთა ერის გაცნობით და სურთ მერლობის საშვალებით, ქართველებს დაუახლოვდენ მაგრამ ჩვენ მათ რუსულ ენაზე ჯერ-ჯერობით ვერაფერი მივაწვდინეთ გარედა ზემო მოხსენებული წიგნსა, რომლითაც კარგა გაეცნენ ქართველთა ერის ბრწყინვალე დროის წასრულს. ზემო მოხსენებული პირები ცხადად დარწმუნებული არიან, რომ ქართველებში ტრადიციულათ არსებობს კეთილშობილური ხასიათი და ყოფაქცევა და არა ომის მიერ შექმნილი მიიჟრეს წყალობით. მათი სიტყვით ეხლანდელი ქართველების ყოფაქცევა სრულიად არ გაირჩევა ძველი რეჟიმის მათ ყოფაქცევისაგან „ისინი ისევ ისეთი ზრდილობიანი არიან ყოფაქცევით, როგორც წინეთ.

**მღ. გიორგი ტყეშელაშვილი**

(შემდეგი იქნება)

*) ოპონენტი შეეხო მხოლოთ პირველ ლექციის თემას.

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ბ. კვირკველია**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 5 ს. 45 „ |
| ბათომიდან | — დილით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 3 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |


## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **მარდამ ბავლეს ძე მოხეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში უშხამს „606" და „914") დღით $12^{1}/_{2}$ — 2 საათ. საღამოს 6 — 8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო გაზეთ

„ხმა ქართველი ქალისა"-ზე

გაზეთი გამოდის ყოველ კვირაში ხუთშაბათობით **კატო მიქელაძის რედაქტორობით.** წლის დამლევამდე (პირველ იანვრამდე) გაზეთი ღირს 3 მ. თვეში 1 მ. ხელის მოწერა მიიღება: „ძმობის" სტამბაში ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. ანნა ღადუასთან ბალახვანის ქ. № 6. ჭიათურაში: ანნა წუწუნავასთან, ხონში: ლუბა პეტრეს ასული სანოძესთან, თბილისში: ეკატერინე გრიგოლის ასული მესხთან Красногорская № 31, ოზურგეთში: საფო მგელაძესთან, და მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში, ფოთში: ლუდმილა ქავთარაძესთან, ახალ სენაკში მასწავლებელ სოფიო არჩაიასთან, ძველ სენაკში ელენე ჩხეტიასთან, სამტრედიაში აგაშა სტურუასთან და ნოე კალანდაძესთან, კულაშში: მასწავლებელ ელისაბედ ლოლობერიძესთან.

**მისამართი:** ქ. ქუთაისი „ძმობის" სტამბა, პუშკინის ქუჩა. კატო მიქელაძე.